საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

არქიტექტურის ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

სამოქალაქო არქიტექტურა

პროგრამის ხელმძღვანელი /ხელმძღვანელები:

არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორები: ნოდარ ამაშუკელი, (ტენუარი) ნიკოლოზ აბაშიძე ასოცირებული პროფესორი

დამტკიცებულია თსსა არქიტექტურის ფაკულტეტის საბჭოს მიერ

2023 წლის 13 დეკემბრის სხდომის ოქმი №7

თსსა აკადემიური საბჭოს მიერ
2023 წლის 14 დეკემბრის სხდომის ოქმი №38

სამაგისტრო პროგრამის „სამოქალაქო არქიტეტურა“ ზოგადი დახასიათება:

პროგრამის ანოტაცია: სამოქალაქო არქიტექტურის სამაგისტრო პროგრამა 2008 წლიდან ფუნქციონირებს და მასში, თავმოყრილია ერთის მხრივ არქიტექტურული უმაღლესი განათლების მდიდარი ტრადიცია, მეორეს მხრივ კი საკუთრივ ამ სფეროში არსებული მრავალი ინოვაცია (თანამედროვე არქიტექტურის მიმართულებები და კონსტრუქციული სისტემები, შენობათა მოწყობილობები, მშენებლობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, ეკოლოგიური პრობლემები, მდგრადი არქიტექტურის პრინციპები და მენეჯმენტი). პროგრამა ეფუძნება სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებს და ყოველმხრივ უწყობს ხელს სტუდენტის ინტელექტუალურ და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

საქართველოში არქიტექტურის მშენებლობის სფეროში მიმდინარე პროცესებმა განსაკუთრებით აქტუალური გახადა კომპლექსური თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის მქონე არქიტექტორთა აღზრდა. აღნიშნული სამაგისტო პროგრამის კურსამთავრებულს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ექნება მიღებული ინფორმაციის ინტეგრირების და გარემოსთან მისადაგებული ინოვაციური პროექტის შექმნის უნარი.

ფართო სფერო (მიმართულება) 07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა - Engineering,Manufacturing and Construction

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა) 073 არქიტექტურა და მშენებლობა -Architecture and Construction

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია) 0731 არქიტექტურა და ქალაქგეგმარება- Architecture and Town Planning

მისანიჭებელი კვალიფიკაცია---0731. 1. 1 არქიტექტურის მაგისტრი- Master of Architecture

სწავლების ენა: ქართულიU

განათლების საფეხური: მაგისტრატურა

პროგრამის მოცულობა: 129 კრედიტი (ECTS)

სწავლის ხანგრძლივობა: 2 წელი,4 სემესტრი

პროგრამის ხელმძღვანელები: ნოდარ ამაშუკელი პროფესორი (ტენუარი) ნიკოლოზ აბაშიძე ასოცირებული პროფესორი

პროგრამის მიზანი:

უზრუნველყოს არქიტექტურის მაგისტრისათვის (სამოქალაქო არქიტექტურის სპეციალობით), ისეთი კომპლექსური თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემა, რომლის საფუძველზეც გეგმარებითი, ტექნიკური, ვიზუალურ - ესთეტიკური ასპექტების ინტეგრირებით მაგისტრი შესძლებს თანამედროვე ინოვაციური საცხოვრებლის და საზოგადოებროვრივი დანიშნულების შენობების საპროექტო და სამშენებლო ამოცანების მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტას.

პროგრამის მიზანია, აგრეთვე დასაქმების თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მაღალკვალიფიცირებული კონკურენტუნარიანი სპეციალისტის აღზრდა, რომელიც შესძლებს დასაქმებას ამ სფეროს, როგორც სამეცნიერო-კვლევით, ასევე მომქმედ სამშენებლო ორგანიზაციებში.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პირობები:

აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან მაგისტრანტობის კანდიდატები, რომელთაც გააჩნიათ არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია), ჩაბარებული აქვთ საერთო სამაგისტრო გამოცდა და თსსა-ს არქიტექტურის ფაკულტეტის გამოცდები უცხოურ ენაში (BII დონე) და სპეციალობაში. სპეციალობაში მაგისტრანტობის კანდიდატების, უნარების შეფასება ხდება წარმოდგენილი პორთფოლიოთი და თანდართული დოკუმენტაციით (CV, მოტივაციის წერილი, სარეკომენდაციო წერილი, ნიშნების ფურცელი).

დაინტერესებული პირისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.art.edu.ge განთავსებულია ინფორმაცია პროგრამის შესახებ. საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრმაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. კერძოდ: I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხოქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება; II. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხოქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

III. პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებაში

სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4

თებერვლის N 10/ნბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე (იხ. თსსა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი)

საგანმანათებლო პროგრამის ხანგრძლივობა:პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი, 4 სემესტრი, აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან, წლის ხანგრძლივობა 42 კვირა; სემესტრის ხანგრლივობა 21 კვირა, აქედან: 15 სააუდიტორიო, 3 სასესიო, 1 დამატებითი გამოცდის კვირაა და 2 კვირა პრაქტიკის; სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და ეძლევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. არქიტექტურის მაგისტრის დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი "დიპლომის დანართი".

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 129 ECTS და მისი სტრუქტურა ამდაგვარია :

- სპეციალობის/ძირითადი სავალდებულო საგნები 91ECTS
- სავალდებულო საუნივერსიტეტო საგნები 12 ECTS
- არჩევითი საგნები 4 ECTS
- სამაგისტრო ნაშრომი 22 ECTS

სპეციალობის სავალდებულო საგნები შემდეგ მიმართულებად იყოფა:

- სპეციალობის (პრაქტიკული) საგნები - 39 ECTS
- სპეციალობის განმსაზღვრელი თეორიული საგნები - 22 ECTS
- **საინჟინრო სპეციალობის საგნები - 30 ECTS**